



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

დემეტრაშვილი ნანა (ნათელა) ალექსანდრეს ასული



ნ. დემეტრაშვილი

დემეტრაშვილი ნანა (ნათელა) ალექსანდრეს ასული (19. IV. 1939, თეთრიწყარო, – 15. VIII. 2011), რეჟისორი. საქართველო. არტიტი (1983). 1963 დაამთავრა საქართველო. შოთა რუსთაველის სახ. სახელმწ. თეატრ. ინ-ტის სარეჟისორო ფაკულტეტი. 1963–64 რეჟისორად მუშაობდა თბილ. სანკულტურის თეატრში, 1964–67 – გორის გ. ერისთავის სახ. სახელმწ. დრამ. თეატრში. 1967–87 – სათავეში ედგა მესხეთის (ქ. ახალციხე) განახლებულ დრამ. თეატრს (1967–76 – მთ. რეჟისორი; 1976–87 – დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი). სპექტაკლები დადგა თბილ. ა. გრიბოედოვის სახ., ქუთ. ლ. მესხიშვილის სახ., ჭიათურის სახელმწ. დრამ. და რუსთავის დრამ. თეატრებში. დ-ის საუკეთესო ნამუშევრებია: კ. ვიტლინგერის „ვარსკვლავიდან

ჩამოსული კაცი“, ნ. დუმბაძის „მზიანი ღამე“, ო. ჩხეიძის „თედორე“, ა. გენაძის „პაემანი ცაში“ (სპექტაკლის ჩვენებამ წარმატებით ჩაიარა მოსკოვში 1976), ფ. შილერის „ყაჩაღები“, კ. ბუაჩიძის „ეზოში ავი ძაღლია“, მოლიერის „ტარტიუფი“, ვაჟა-ფშაველას „მოკვეთილი“. დ-ის სპექტაკლები (ა. გენაძის „გზა, ყარამანს ქალი მოჰყავს“, „წმინდანები ჯოჯოხეთში“) წარმატებით დაიდგა კირჯალის (ბულგარეთი) დრამ. თეატრში. 1987–2007 დ. პედ. მოღვაწეობას ეწეოდა შოთა რუსთაველის სახ. თეატრ. ინ-ტში. მიღებული აქვს ს. ახმეტელის სახ. პრემია (2010) და სახელმწ. ჯილდოები.

მ. ცუცქერიძე